

“საქართველო და ნატო - გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“

ავტორი: სტუდენტი ანა არუთუნიანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო
პერსპექტივები“*

23-24 დეკემბერი, 2020

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 30 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ალიანსის წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. NATO იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ნატო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსენსუსის საფუძველზე. ალიანსში გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანო არის ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის სხდომებს ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ბარიერებმა ევროპის კონტიტენტი ორად გაჰყვეს. დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით ვაშინგტონში 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის მიერ დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ

აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.

მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები და მათი ჩრდილოატლანტიკელი მოკავშირეები, ნათლად ხედავდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიურ პოლიტიკას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით. თუმცა, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ინარჩუნებდა ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნების გათვალისწინებით აშკარა იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვისკენ მოწოდება არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ეროვნული სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტი. მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის 5 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა (რომელიც დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა) აღნიშნულ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება, ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პროცესი კი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის რკინის ფარდის დაშვებას შეადარა 1948 წელს საბერძნეთი და ნორვეგია კომუნისტური ექსპანსიის პირდაპირი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ, იმავე წლის აპრილში ყველა არსებული ხელშეკრულების დარღვევით კრემლმა განახორციელა ბერლინის ბლოკადა ხოლო ივნისში, ჩეხოსლოვაკიაში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. კორეის ომმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა დასავლეთი საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტურ ამბიციებში, რომელიც მხოლოდ ევროპის კონტინენტზე არ ვრცელდებოდა.

1948 წლის მარტში, დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ - ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ბრიუსელის პაქტს ეს კავშირი მიზნად ისახავდა თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას და ერთმნეთთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც წინ აღუდგებოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას. ბრიუსელის პაქტი დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინაპირობად იქცა და სწორედ ის გახდა საფუძველი NATO-ს დაარსებისა 1949 წელს. ბრიუსელის პაქტის ქვეყნები, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებსა და კანადასთან, ასევე დანიასთან,

ისლანდიასთან, იტალიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვის თაობაზე. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით დასრულდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამფუძნებელი აქტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები თანხმდებოდნენ, რომ ისინი არ შეუერთდებოდნენ სხვა ისეთი ტიპის გაერთიანებებს, რომლის მიზნებიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან. NATO-ს დამფუძნებელი ხელშეკრულების მიხედვით, ალიანსი არის უნიკალური გაერთიანება, რომელიც აღიარებს და იცავს ისეთ ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორცაა დემოკრატია, ინდივიდის თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, ალიანსის წევრი ევროპული სახელმწიფოების მთავრობების მოთხოვნის შესაბამისად, ამერიკული სამხედრო ძალების ყოფნამ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, განაპირობა საბჭოთა კავშირის მიერ აგრესიული ქმედებების შეჩერება. თუმცა, მოსკოვის მხრიდან საფრთხე კვლავ აშკარა იყო.

NATO-ს ღია კარის პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლს ემყარება, რომლის მიხედვითაც: „მხარეებს შეუძლიათ ერთსულოვანი თანხმობით ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მოიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში“. გადაწყვეტილებას სახელმწიფოს ალიანსის წევრად მოწვევის შესახებ იღებს ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ალიანსის წევრი ქვეყნების კონსენსუსის საფუძველზე. NATO-ს არაწევრი სახელმწიფო არ მონაწილეობს ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. NATO არ წარმოადგენს საფრთხეს არც ერთი ქვეყნისთვის, ალიანსის გაფართოების მიზანი სტაბილურობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, ერთიანი და თავისუფალი სივრცის მშენებლობა, მშვიდობისა და საერთო დემოკრატიული ღირებულებების დაცვაა. NATO-ს კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მზადაა, წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მიიღოს მონაწილეობა. 1949 წლიდან NATO-ს წევრი ქვეყნების რაოდენობა 12-დან 29 ქვეყანამდე გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა და ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა ექსპანსიურმა პოლიტიკამ, განაპირობა ის, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებების შედეგად 1952 წელს ალიანსი პირველად გაფართოვდა და NATO-ს ორი ახალი წევრი შეუერთდა თურქეთისა და საბერძნეთის სახით. 1955 წელს ალიანსს დასავლეთ გერმანია ხოლო 1982 წელს ესპანეთი შეემატა.

ვარშავის პაქტის გაუქმებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კრემლის მიერ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე თითქოს გამქრალი იყო, საგრძნობლად იმატა არასტაბილურობამ ევროპის მთელს კონტინენტზე. იუგოსლავიის მოვლენებს დაემატა კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყოველივე ამის შემდეგ, ალიანსის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ NATO კვლავ უნდა დარჩენილიყო კოლექტიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მთავარ გარანტად ევროპაში. 1995 წელს, ალიანსმა ჩაატარა სწავლება ნატოს გაფართოების შესახებ (დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა 2008 წელს), რომლის საფუძველზეც 1997 წლის მადრიდის სამიტზე, გაწევრიანების მიზნით ალიანსმა ჩეხეთის რესპუბლიკა), უნგრეთი და პოლონეთი მიიწვია, ისინი ალიანსს 1999 წელს შეუერთდნენ. ეს ქვეყნები გახდნენ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებიდან პირველი NATO-ს წევრი სახელმწიფოები.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანამ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და პროდასავლური კურსი აიღო. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელსაც 1997 წლიდან ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო ეწოდა. აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

1994 წელს საქართველო ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას შეუერთდა. 1996 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს და მასპინძლობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლებებსა და წვრთნებს.

2002 წელს ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები

აიღო. დოკუმენტი ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისათვის. ნატოს საერთაშორისო სამსახური IPAP-ის განხორციელებას ყოველწლიურად აფასებდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება განხორციელდა (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური შეფასება).

2006 წელს ქ. ნიუ-იორკში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე“. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის - ასპირანტის ფორმატზე, რაც გულისხმობს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას.

ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმს, რომელიც საქართველოს დაეხმარებოდა, ნატოში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებს უკეთესად გაცნობოდა. ინტენსიური დიალოგის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მრავალი კონსულტაცია გაიმართა პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლების საკითხებსა და სხვა საკითხებზე.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გაცხადებული ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას.

2008 წლის 19 აგვისტოს, ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნისა და 2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ.

2008 წლის 2-3 დეკემბერს გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო საქართველოსთან წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის დაწყება, რომელმაც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ჩაანაცვლა. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფაზაზე მყოფი ქვეყნების და ალიანსის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს, შესაბამისად, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო პრაქტიკული თანამშრომლობის ამ ინსტრუმენტის

მიღება. შეიძლება ითქვას, რომ MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, საქართველომ მიიღო ამ ფორმატით გათვალისწინებული გაწევრიანებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი. წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში ქართული მხარის მიერ დაგეგმილი რეფორმებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალს, რომელთა ძირითადი მიზანი ქვეყნის ალიანსთან მიახლოებაა. ალიანსი ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამის იმპლემენტაციის შეფასებას და შედეგებს განიხილავს ქართულ მხარესთან ერთად. საქართველო ამჟამად რიგით მერვე წლიურ ეროვნულ პროგრამას ახორციელებს.

ნატო-საქართველოს კომისიის ეფექტურად ფუნქციონირების მეშვეობით, 2008 წლის შემდეგ, საქართველო ყველა დონეზე კიდევ უფრო აღრმავებს ალიანსთან პოლიტიკურ დიალოგს და პრაქტიკულ თანამშრომლობას. საქართველო ალიანსის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით და პირნათლად ახორციელებს, რაც ნატოს საერთაშორისო სამსახურისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს მრავალჯერ აღუნიშნავთ.

2010 წლის აგვისტოში ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტი, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა შემუშავდა, რომელიც სამხედრო სფეროში ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მთავარ ამოცანებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს.

2010 წელს ქ. თბილისში ნატოს სამეკავშირეო ოფისი გაიხსნა, რომლის მთავარი ამოცანა საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ნატოში საქართველოს გაწევრიანების ხელშეწყობაა.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. მინისტრიალის გადაწყვეტილებით, საქართველო ფორმალურად მოიხსენიეს ასპირანტ ქვეყნად, მონტენეგროსთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად. აღნიშნულ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია 2012 წლის 20-21 მაისს ნატოს ჩიკაგოს სამიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე 28+4 ფორმატში, ალიანსთან ასპირანტი ქვეყნების შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრა კიდევ ერთი დადასტურება იყო ალიანსის მხარდაჭერის ასპირანტი ქვეყნების მისწრაფების მიმართ.

2014 წლის 4-5 სექტემბერს ნატოს უელსის სამიტზე მიიღეს საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მომზადება გაწევრიანებისთვის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. ალიანსმა აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს წევრი

გახდება და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი პარტნიორი, სხვა ოთხ ქვეყანასთან (შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია, იორდანია) ერთად „გაფართოებული შესაძლებლობების პარტნიორების“ ჯგუფში მიიწვიეს, რომლის ფარგლებში ქვეყანამ ნატოსთან თანამშრომლობის უფრო გაფართოებულ შესაძლებლობები მიიღო.

2015 წლის 1-2 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მონტენეგროს ალიანსში მიწვევით, ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკისადმი ერთგულება. მოკავშირეებმა კვლავ გამოხატეს ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ, რომლის თანახმად, საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ წარმოადგენს საქართველოს ნატოში მიწვევის თაობაზე მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილს. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატოს წევრობისთვის მოსამზადებლად. მინისტრიალის შედეგად მიღებულ დოკუმენტში, ნატოს წევრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და ხაზი გაუსვეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელების პროცესს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გაცხადებული ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას მოჰყვა. 2008 წლის 19 აგვისტოს ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსეთის ფედერაციის ქმედებები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნისა და 2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ.

15-16 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში გასვლითი ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელი სხდომა. 2008 წლის 2-3 დეკემბერს ბრიუსელში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართულ NGC-ის სხდომაზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნატო-საქართველოს კომისია განხორციელებდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგს, წარმართავდა

საქართველოსა და ნატოს შორის პოლიტიკურ დიალოგს სხვადასხვა დონეზე და გამოყენებული იქნებოდა, როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის კოორდინაციის მექანიზმი.

2008 წლის 2-3 დეკემბერს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა საქართველოს წლიურმა ეროვნულმა პროგრამამ ჩაანაცვლა. წლიური ეროვნული პროგრამა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფაზაზე მყოფი ქვეყნების და ალიანსის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო პრაქტიკული თანამშრომლობის ამ ინსტრუმენტის მიღება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, საქართველომ მიიღო ამ ფორმატით გათვალისწინებული გაწევრიანებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი.

წლიური ეროვნული პროგრამა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებსა და ნატოს რეკომენდაციებს ეყრდნობა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და მოდერნიზაციისათვის ეროვნული მასშტაბით გასატარებელ მრავალმხრივ რეფორმებს განსაზღვრავს.

წლიური ეროვნული პროგრამა მოიცავს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ეკონომიკურ განვითარებას, თავდაცვასა და უსაფრთხოებას და სხვა სფეროებს. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ANP-ის შემუშავება ხელს შეუწყობს საქართველოს, წარმატებით გაატაროს რეფორმები, რომელიც ყოველწლიურად შეფასდება. ნატო, თავის მხრივ, მხარს უჭერს საქართველოს ამ რეფორმების გატარებაში და ამისთვის მრავალმხრივ კონსულტაციებს უწევს, როგორც სამოქალაქო, ასევე, სამხედრო საკითხებში.

საქართველოს პრიორიტეტებია საჯარო და კერძო სექტორის გარდაქმნა დემოკრატიის, ეფექტური მმართველობის, კანონის უზენაესობისა და მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება. წლიური ეროვნული პროგრამის დოკუმენტი, ყოველი წლის დასაწყისში, ეროვნულ დონეზე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მტკიცდება და ყოველწლიურად ნატოს მიერ ფასდება.

24 ნოემბერს, ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შესრულებაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე ალიანსის წევრი ქვეყნების მუდმივმა წარმომადგენლებმა საქართველოს მიერ 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში გატარებული რეფორმები დადებითად შეაფასეს. "განვიხილეთ ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია, ერთი მხრივ, არსებითი პაკეტის აღსრულების თვალსაზრისით, ასევე,

წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების კუთხით. არ დარჩენილა დელეგაცია, რომელიც ხაზგასმით არ აღნიშნავდა იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელსაც რეფორმების თვალსაზრისით საქართველომ მიაღწია" - განაცხადა დავით ბაქრაძემ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ.

საქართველო ნატოს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში, რომელიც თანამშრომლობის პრაქტიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, 1999 წლიდან მონაწილეობს. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას უწყობს ხელს. საქართველოს თავდაცვის პრიორიტეტებისა და ალიანსის რეკომენდაციების საფუძველზე პარტნიორობის მიზნები განისაზღვრება, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ გადაიხედება. ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლები ყოველწლიურად აფასებენ პარტნიორობის მიზნების განხორციელებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დიდი ძალისხმევით ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას და უზრუნველყოფს ნატოსთან თავსებადობის გაზრდას. საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თავდაცვის ტრანსფორმაციის კუთხით, სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, გენდერთან დაკავშირებულ საკითხებში, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობისა და ინსტიტუციონალურ მშენებლობაში.

ნატოს სამხედრო კომიტეტის და საქართველოს სამხედრო სამუშაო გეგმა 2010 წლის აგვისტოში ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტი - ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა შემუშავდა. სამუშაო გეგმა ნატო-საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მთავარ ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. დოკუმენტი იმ ღონისძიებებს მოიცავს, რომლის განხორციელებაც წლიური ეროვნული პროგრამით, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესით და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას უწყობს ხელს.~

2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ, ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მიიღო, რომელსაც საქართველო ნატოს აქტიური მხარდაჭერით ახორციელებს. არსებითი პაკეტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ალიანსთან თავსებადობის გაზრდას, რაც საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის მზადების პროცესში დაეხმარება.

ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ნატოს მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის 13 სხვადასხვა პროექტი განისაზღვრა, რომლებიც ახალი ინსტიტუციების ჩამოყალიბებასთან ერთად, თავდაცვის შესაძლებლობების ამაღლების კუთხით, ცალკეული მიმართულებების განვითარებას მოიცავს. ეს პროექტებია: წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსება; ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარება; ავიაციის განვითარება; საჰაერო თავდაცვის განვითარება; სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარება; სამხედრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარება; სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა; შესყიდვების სისტემის განვითარება; სტრატეგიული კომუნიკაციები; საზღვაო უსაფრთხოების განვითარება; კიბერუსაფრთხოება; სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა და უსაფრთხო კომუნიკაციების სისტემის განვითარება.

არსებითი პაკეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ, რომელიც საქართველოს 2015 წლის იანვრის ბოლოს ეწვია. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ „არსებითი პაკეტი ნატოს მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის დემონსტრირებაა, რომელიც საქართველოს გაწევრიანებისთვის საჭირო მოთხოვნების მომზადებასა და მიღწევაში დაეხმარება. როგორც ბევრჯერ აღვნიშნეთ, არსებითი პაკეტი, ნატო-საქართველოს კომისია და წლიური ეროვნული პროგრამა ის ელემენტებია, რომლებიც საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაში დაეხმარება“.

2015 წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნატოს 3 ექსპერტით დაკომპლექტებული ნატოს ძირითადი ჯგუფია მოვლენილი, რომელიც ქართულ მხარესთან ერთად არსებითი პაკეტის ფარგლებში არსებული ინიციატივების წარმატებით განხორციელების კოორდინაციასა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს.

არსებითი პაკეტის პროექტების განხორციელებასა და მიმართულებების განვითარებაში ოცზე მეტი ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყანაა ჩართული. ქართულ მხარეს თითოეული ინიციატივის განხორციელებაში ნატოს წევრი ქვეყნების მიერ მოვლენილი წარმომადგენლები ეხმარებიან.

არსებითი პაკეტის განხორციელების კუთხით, ქართული მხარის ძალისხმევა და მიღწეული პროგრესი ალიანსის და წევრი სახელმწიფოების მხრიდან არაერთხელ დაფიქსირდა. 2016 წლის 10-11 თებერვალს, ნატოს თავდაცვის მინისტრიალზე წევრმა ქვეყნებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელება დადებითად შეაფასეს.

2015 წლის 27 აგვისტოს, ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტისას, ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს წვრთნისა და

შეფასების ერთობლივი ცენტრი დაფუძნდა. „წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნის შედეგად ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. საქართველოს შეიარაღებული ძალები გახდება უფრო მეტად თავსებადი ნატოსთან. ნატო იქნება უფრო ფართოდ წარმოდგენილი საქართველოში და ალიანსის ცნობადობა კიდევ უფრო ამაღლდება ქვეყანაში, საქართველოს წვლილი კი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში კიდევ უფრო გაიზრდება“- განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის. წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების სიმბოლოა. ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში.

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ერთადერთი ერთობლივი ცენტრია შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში. ცენტრი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებაში.

ცენტრში გამართული ორმხრივი და საერთაშორისო წვრთნები და შეფასებები ხელს უწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას და შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს, რომ ერთობლივად და შეთანხმებულად იმოქმედონ საერთაშორისო წვრთნებისა და საერთაშორისო ოპერაციების დროს.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა საქართველოში, თბილისში, 2016 წლის 28 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიზანია გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება როგორც თავდაცვის, ასევე ფართო უსაფრთხოების სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა 2012 წელს ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე დაარსდა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მისიაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება და თანამშრომლების პროფესიული განვითარება; ეროვნულ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ერთიანი მიდგომების

ჩამოყალიბება და თანამშრომლობის გაღრმავება ფართო უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებთან, ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების პროგრამები განკუთვნილია როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო თუ სამხედრო პირებისთვის, ასევე აღნიშნული სფეროს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. სკოლის კურსებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ უცხოელ მონაწილეებს.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ამოცანაა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში კავკასიისა და შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის ხელშეწყობა და დიალოგის გაღრმავება სასწავლო ღონისძიებების განხორციელებით.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ნატოსთან თავსებად თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიებსა და მართვის მოდელს გამოიყენებს, რაც სკოლას შესაძლებლობას მისცემს ნატოს სკოლის სტატუსი მიიღოს.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის უპირატესი მიმართულებებია: ეფექტური მმართველობა და უსაფრთხოების სექტორის მართვა; უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა; კომუნიკაცია და თანამშრომლობა უსაფრთხოების სექტორში; რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა.

სკოლის პროფესიული განვითარების პროგრამები ხელს შეუწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციასა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმებს, რაც გააძლიერებს ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და დააჩქარებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესს.

ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამაში საქართველო 1996 წლიდან მონაწილეობს, რომელიც წარმოადგენს თითოეული ქვეყნის ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით განსაზღვრული ღონისძიებების ნუსხას.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ნატოს და პარტნიორი ქვეყნების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სახის კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში.

ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამა 2009 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე დაარსდა. საქართველოს მთავრობასა და ნატოს შორის პროგრამის შესახებ ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია და ვენის 1961 წლის კონვენციას ექვემდებარება.

ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა მიზნად ეფექტური, დემოკრატიული მმართველობის დანერგვისა და მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერისთვის საჯარო მოხელეების, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მომუშავე პირების, პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კურსები სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთათვის არის განკუთვნილი და როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე ხორციელდება. აღნიშნული პროცესი უსაფრთხოების სექტორში უწყებათშორისი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგები შემდეგ საკითხებს მოიცავს: ინგლისური ენა, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების სექტორის მენეჯმენტი, საჯარო სამსახურის რეფორმა, ადამიანური რესურსების მართვა, მართვის უნარები, იურიდიული საკითხები, ანალიტიკური უნარები, შესყიდვები, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ფაკულტეტების განვითარება და თავდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების ცენტრის მხარდაჭერა.

ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა განხორციელების სამ ფაზას მოიცავს:

- I ფაზა 2009-2011წ.წ.: სამიზნე ჯგუფი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალი;
- II ფაზა 2011- 2014 წ.წ.: სამიზნე ჯგუფი უსაფრთხოების ფართო სექტორი;
- III ფაზა 2014-2016 წ.წ.: სამიზნე ჯგუფი საჯარო სექტორი.

ნატოს მხრიდან PDP-ის განხორციელებას ზედამხედველობას ნატოს წევრი და კონტრიბუტორი ქვეყნებისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო და ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლები უწევენ. თბილისში დაფუძნებული პროგრამის მმართველი საბჭო, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს, ხოლო თანათავმჯდომარეობას საჯარო სამსახურის ბიუროს დირექტორი უწევს, პროგრამის საქმიანობის კოორდინირებას ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფს. პროგრამის ყოველდღიურ საქმიანობას ადგილობრივი თანამშრომელთა გუნდი უძღვება.

პროგრამას ნატოს ნდობის ფონდი აფინანსებს, რომელიც წევრი ქვეყნების ფინანსური და არაფინანსური კონტრიბუციისგან შედგება.

სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა

ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა მხარს უჭერს პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და სამხედრო სფეროში არსებული საგანმანათლებლო ინსტიტუტების განვითარებას, ტრანსფორმაციასა და ბოლონის პროცესთან შესაბამისობას. ამ მიმართულებით 2009 წელს ნატომ საქართველოსთვის სპეციალური სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა შეიმუშავა. იგი თავდაცვის აკადემიებისა და უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტების კონსორციუმის მხარდაჭერით ხორციელდება, ასევე პარტნიორობის ტრენინგებისა და სასწავლო ცენტრების და მოკავშირეთა თავდაცვითი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით.

ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ინტენსივობისა და წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი დასტურია საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტები.

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესაფასებლად და საქართველოს მხარდაჭერის დემონსტრირების მიზნით, პერიოდულად იმართება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტები საქართველოში.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო საქართველოს პირველი ვიზიტით 2008 წლის 15-16 სექტემბერს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს და კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეორე ვიზიტი საქართველოში 2011 წლის 9-10 ნოემბერს გაიმართა. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმად ნატოს 28 წევრი სახელმწიფო მიესალმა საქართველოს მიღწევებს რეფორმების პროცესში, გამოხატა ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

2013 წლის 26-27 ივნისს საქართველოს მთავრობის მოწვევით საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო მესამედ ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომელზეც მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2016 წლის 7-8 სექტემბერს საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო ეწვია. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში რიგით მეოთხეა, რაც ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. ჩრდილოატლანტიკური

საბჭოს ვიზიტი საქართველოს უპირობო პოლიტიკური მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

ვიზიტის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს თავდაცვის სფეროში ნატო-საქართველოს თანამშრომლობა და ვარშავის სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ახალი ინიციატივების განხორციელების გეგმები. ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მკაფიო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. განსაკუთრებულად აღინიშნა საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი და რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი, რაც თავის მხრივ აახლოებს ქვეყანას ნატოში გაწევრიანებასთან.

სხდომაზე ნატოს რამდენიმე წევრმა ქვეყანამ დააფიქსირა გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლების მიმართულებით კონკრეტული დახმარების გამოყოფის თაობაზე. მხარეებმა ისაუბრეს შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე ნატოში მიმდინარე სტრატეგიულ დიალოგში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

„ნატო-საქართველოს კომისია 2008 წელს ჩამოყალიბდა, როგორც ფორუმი პოლიტიკური დიალოგისთვის და ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. კომისიის დღევანდელ სხდომაზე განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი, მათ შორის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასა და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბოლო მოვლენები. ასევე ვისაუბრეთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების მხრივ მიღწეულ პროგრესზე. არსებითი პაკეტი 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე შემუშავდა და გაძლიერდა ვარშავის სამიტზე, რომელიც 2016 წლის ივლისს გაიმართა. მოკავშირეებს მტკიცედ აქვთ განზრახული საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერება და ჩვენი თანამშრომლობის განვითარება“ - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

7 სექტემბერს, საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის ფარგლებში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ახალი შენობის ინაუგურაცია გაიმართა. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში სტუმრობით დასრულდა.

2014 წლის 11-12 თებერვალს საქართველოს პირველად ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც ალიანსის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი კნუდ ბარტელსი ხელმძღვანელობდა.

ქ. თბილისში 28+1 ფორმატში სამხედრო კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ევროატლანტიკურ

უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

2017 წლის 2-3 მარტს საქართველოს მეორედ ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი პეტრ პაველი ხელმძღვანელობდა. ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანოს რიგით მეორე ვიზიტი საქართველოში ნათლად ადასტურებს ალიანსის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ქართულ მხარესთან სამხედრო კომიტეტის მუდმივი სესია გაიმართა. გარდა ამისა, ალიანსის წევრი სახელმწიფოების სამხედრო წარმომადგენლებმა მოინახულეს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და ადგილზე გაეცნენ ცენტრის შესაძლებლობებს.

სამხედრო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, თავდაცვის ტრანსფორმაცია, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელება, და ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხები.

ნატოს უმაღლეს სამხედრო მაღალჩინოსნებს სიტყვით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და ალიანსს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „დღეს, ისე როგორც არასდროს, ნატოს მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული უსაფრთხოების, გამოწვევებისა და რუსეთის მხრიდან მეზობელი ქვეყნების მიმართ მზარდი აგრესიის ფონზე. ალიანსის გადაწყვეტილება, რომ საქართველოში მეორედ ჩატარებულიყო სამხედრო კომიტეტის სხდომა, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მიმართ მტკიცე მხარდაჭერას და მისი, როგორც სანდო პარტნიორის და ევრო-ატლანტიკური ოჯახის მომავალი წევრის აღიარებას“, - განაცხადა ლევან იზორიამ სამხედრო კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

გენერალმა პეტრ პაველმა საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის რეფორმები დადებითად შეაფასა და აღნიშნა ქართული მხარის მზაობა, გააუმჯობესოს საკუთარი შეიარაღებული ძალების თავსებადობა ნატოს ძალებთან. გენერალმა მადლობა გადაუხადა საქართველოს, ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში შეტანილი წვლილისა და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართულობისთვის და აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს საიმედო პარტნიორია, რომელსაც საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საერთო ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. „მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ნატო საქართველოს საიმედო პარტნიორად მიიჩნევს, რომელთან თანამშრომლობაც ღია და გულახდილი დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ჩვენ განსაკუთრებულად მადლიერები ვართ საქართველოსი

ავღანეთის მისიაში მონაწილეობის გამო. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, - განაცხადა გენერალმა პეტრ პაველმა.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.